

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25  
2019 წლის 27 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>14,141.9</b>	<b>21,028.1</b>	<b>11,192.4</b>	<b>9,835.7</b>	<b>13,147.3</b>	<b>13,147.3</b>	-
გადასახადები	2,282.8	10,191.3	10,191.3	-	12,046.8	12,046.8	-
გრანტები	10,821.8	10,055.7	220.0	9,835.7	230.0	230.0	-
სხვა შემოსავლები	1,037.3	781.1	781.1	-	870.5	870.5	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>7,016.3</b>	<b>8,891.9</b>	<b>8,392.3</b>	<b>499.6</b>	<b>9,212.8</b>	<b>9,212.8</b>	-
შრომის ანაზღაურება	1,374.7	1,715.0	1,715.0	-	1,866.4	1,866.4	-
საქონელი და მომსახურება	1,328.8	1,948.6	1,449.0	499.6	1,527.7	1,527.7	-
პროცენტი	105.1	56.5	56.5	-	44.0	44.0	-
სუბსიდიები	3,594.8	4,375.8	4,375.8	-	4,857.7	4,857.7	-
გრანტები	13.2	40.0	40.0	-	55.0	55.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	529.7	510.3	510.3	-	403.0	403.0	-
სხვა ხარჯები	70.0	245.7	245.7	-	459.0	459.0	-
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>7,125.6</b>	<b>12,136.2</b>	<b>2,800.1</b>	<b>9,336.1</b>	<b>3,934.5</b>	<b>3,934.5</b>	-
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>4,046.9</b>	<b>16,253.8</b>	<b>5,131.7</b>	<b>11,122.1</b>	<b>3,809.5</b>	<b>3,809.5</b>	-
ზრდა	4,115.8	16,253.8	5,131.7	11,122.1	3,809.5	3,809.5	-
კლება	68.9	-	-	-	-	-	-



V. მთლიანი სალდო	3,078.7	- 4,117.6	- 2,331.6	- 1,786.0	125.0	125.0	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2,920.7	- 4,337.4	- 2,551.4	- 1,786.0	-	-	-
ზრდა	1,637.0	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	1,637.0	-	-	-	-	-	-
კლება	- 1,283.7	4,337.4	2,551.4	1,786.0	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,283.7	4,337.4	2,551.4	1,786.0	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 158.0	- 219.8	- 219.8	-	- 125.0	- 125.0	-
კლება	158.0	219.8	219.8	-	125.0	125.0	-
საშინაო	158.0	219.8	219.8	-	125.0	125.0	-
სესხები	158.0	219.8	219.8	-	125.0	125.0	-
VIII. ბალანსი	0.0	- 0.0	- 0.0	-	- 0.0	- 0.0	-

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	14,210.8	21,028.1	11,192.4	9,835.7	13,147.3	13,147.3	-
შემოსავლები	14,141.9	21,028.1	11,192.4	9,835.7	13,147.3	13,147.3	-
არაფინანსური აქტივების კლება	68.9	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	11,290.1	25,365.5	13,743.8	11,621.7	13,147.3	13,147.3	-
ხარჯები	7,016.3	8,891.9	8,392.3	499.6	9,212.8	9,212.8	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,115.8	16,253.8	5,131.7	11,122.1	3,809.5	3,809.5	-
ვალდებულებების კლება	158.0	219.8	219.8	-	125.0	125.0	-
ნაშთის ცვლილება	2,920.7	- 4,337.4	- 2,551.4	- 1,786.0	-	-	-

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	14,141.9	21,028.1	11,192.4	9,835.7	13,147.3	13,147.3	-
გადასახადები	2,282.8	10,191.3	10,191.3	-	12,046.8	12,046.8	-
გრანტები	10,821.8	10,055.7	220.0	9,835.7	230.0	230.0	-
სხვა შემოსავლები	1,037.3	781.1	781.1		870.5	870.5	

**მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 12046,8 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	2,282.8	10,191.3	10,191.3	-	12,046.8	12,046.8	-
საშემოსავლო გადასახადი	749.7	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	8,841.3	8,841.3		10,546.8	10,546.8	
ქონების გადასახადი	1,533.1	1,350.0	1,350.0	-	1,500.0	1,500.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	530.4	380.0	380.0		600.0	600.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7.9	-	-		-	-	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	934.8	940.0	940.0		870.0	870.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	60.0	30.0	30.0		30.0	30.0	



**მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები**

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 230.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	<b>10,821.8</b>	<b>10,055.7</b>	<b>230.0</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	10,821.8	10,055.7	230.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	6,323.0	-	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	220.0	230.0
კაპიტალური ტრანსფერი	4,278.8	9,835.7	
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	-	-	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	-	-	
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	-		
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	-		

**მუხლი 6.**

**ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 870,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1,037.3</b>	<b>781.1</b>	<b>870.5</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	420.4	308.5	340.0
პროცენტები	226.4	190.0	210.0
დივიდენდები	-		
რენტა	194.0	118.5	130.0
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	217.5	160.2	230.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელეები	209.2	139.2	230.5



საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	-		
სანებართვო მოსაკრებელი	49.3	31.6	30.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის	0.8		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.2		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	124.5	75.0	150.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	-		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	-		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	33.4	32.6	50.5
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8.3	21.0	-
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	341.5	312.4	300.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	8.4		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	49.4		

**მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**  
**ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 9212,8 ათასი ლარით:**

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>7,016.3</b>	<b>8,891.9</b>	<b>8,392.3</b>	<b>499.6</b>	<b>9,212.8</b>	<b>9,212.8</b>	<b>-</b>
შრომის ანაზღაურება	1,374.7	1,715.0	1,715.0	-	1,866.4	1,866.4	-
საქონელი და მომსახურება	1,328.8	1,948.6	1,449.0	499.6	1,527.7	1,527.7	-
პროცენტები	105.1	56.5	56.5	-	44.0	44.0	-
სუბსიდიები	3,594.8	4,375.8	4,375.8	-	4,857.7	4,857.7	-
გრანტები	13.2	40.0	40.0	-	55.0	55.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	529.7	510.3	510.3	-	403.0	403.0	-
სხვა ხარჯები	70.0	245.7	245.7	-	459.0	459.0	-



**მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3809,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3809,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 0,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>130.7</b>	<b>359.4</b>	<b>40.0</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	130.7	359.4	40.0
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>3,217.6</b>	<b>9,961.6</b>	<b>3,032.9</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,435.8	6,354.9	1,424.5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	221.2	865.1	913.5
02 03	გარე განათება	-	222.0	94.9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	346.4	90.0	-
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	-	-	-
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	214.2	1,351.3	-
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	-	1,078.3	600.0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>429.4</b>	<b>413.0</b>	<b>-</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	429.4	413.0	-
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	-	-	-
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	-	-	-
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>327.2</b>	<b>2,809.3</b>	<b>670.0</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1.2	40.0	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	326.0	2,049.3	670.0
04 03	განათლების ღონისძიებები	-	720.0	-
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>11.0</b>	<b>389.1</b>	<b>66.5</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	11.0	389.1	66.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	-	-	-
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>-</b>	<b>2,321.4</b>	<b>-</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	771.4	-
06 02	სოციალური დაცვა	-	1,550.0	-
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>4,115.8</b>	<b>16,253.8</b>	<b>3,809.5</b>



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	68.9	-	-
ძირითადი აქტივები	66.6	-	-
არაწარმოებული აქტივები	2.3	-	-
მიწა	2.3	-	-

**მუხლი 9.** ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,106.5	2,959.3	2,794.1
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,106.5	2,902.8	2,715.1
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,106.5	2,822.8	2,635.1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	80.0	80.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები		56.5	44.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			35.0
7.2	თავდაცვა	90.6	102.0	100.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	90.6	102.0	100.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	2,449.2	7,701.7	1,624.5
7.4.5	ტრანსპორტი	2,449.2	7,701.7	1,624.5
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,449.2	6,411.9	1,624.5
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	1,289.8	-
7.5	გარემოს დაცვა	1,311.8	1,395.0	1,019.9
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,311.8	1,395.0	1,019.9
7.6	საზინაო კომუნალური მეურნეობა	1,506.5	3,078.4	2,378.5



7.6 3	წყალმომარაგება	244.1	865.1	997.7
7.6 4	გარე განათება	701.8	772.0	730.8
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	560.6	1,441.3	650.0
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>106.0</b>	<b>925.1</b>	<b>155.8</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	106.0	925.1	155.8
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>920.6</b>	<b>1,538.3</b>	<b>1,176.5</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	721.3	1,314.3	225.8
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	169.3	194.0	910.7
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	30.0	30.0	40.0
7.9	<b>განათლება</b>	<b>2,141.9</b>	<b>5,226.2</b>	<b>3,030.0</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,131.8	4,178.6	3,030.0
7.9 2	ზოგადი განათლება	10.1	1,047.6	-
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	10.1	1,047.6	-
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>499.2</b>	<b>2,219.7</b>	<b>743.0</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	34.4	41.9	69.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	48.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	123.7	105.8	152.0
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	-	30.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	40.0	54.7	40.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	301.1	2,017.3	404.0
	<b>სულ</b>	<b>11,132.1</b>	<b>25,145.7</b>	<b>13,022.3</b>

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 125,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3934,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	7,125.6	12,136.2	3,934.5
მთლიანი სალდო	3,078.7	-	4,117.6
			125.0





**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**  
 ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2,920.7</b>	<b>- 4,337.4</b>	<b>-</b>
ზრდა	1,637.0	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	1,637.0	-	-
კლება	- 1,283.7	4,337.4	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 1,283.7	4,337.4	-

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 125,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2009 და 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

**თავი II**

**ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**

**მუხლი 13.**

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4003,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>4,003.0</b>
<b>02 01</b>	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,624.5
<b>02 01 01</b>	გზების მიმდინარე შეკეთება	200.0
<b>02 01 02</b>	გზების კაპიტალური შეკეთება	1,364.5
<b>02 01 03</b>	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	60.0
<b>02 02</b>	წყლის სისტემების განვითარება	997.7
<b>02 02 01</b>	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	84.2
<b>02 02 02</b>	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	913.5
<b>02 03</b>	გარე განათება	730.8
<b>02 03 01</b>	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	85.9
<b>02 03 02</b>	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	644.9
<b>02 04</b>	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-



02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	50.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	-
02 06 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	50.0
02 06 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	-
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	-
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	-
02 08	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	600.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		<b>200.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია</b>		
ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთებას); . წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 5555კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზების კაპიტალური შეკეთება</b>	დაფინანსება ათას ლარში	
	02 01 02		2020 წელი	2020-2023 წწ
			<b>1,364.5</b>	<b>1,364.5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია</b>			
<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და მდინარეებზე გადასასვლელი საჭაპანო ხიდები. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 10 პროექტის განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. კავშირში შიდა გზების კაპიტალური შეკეთება - 720 გრძ/მ;</li> <li>- სოფ. თამარიანში სასაფლასოსთან მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთება - 350 გრძ/მ;</li> <li>- სოფ. ჭაბუკიანიდან სოფ. ონანაურში გადასასვლელი გზების კაპიტალური შეკეთება - 869 გრძ/მ;</li> <li>- სოფ. ჭიაურში მე-5 ქუჩის კაპიტალური შეკეთება - 541 გრძ/მ;</li> <li>- სოფ. თელაში სკოლის ქუჩის კაპიტალური შეკეთება - 750 გრძ/მ</li> <li>- სოფ. ფონაში, სასაფლასოსთან მისასვლელ გზაზე, ე. წ. მშრალ ღელეზე</li> </ul> <p>რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა - სოფ. შერთებაში, ცენტრალურ ტრასასთან დამაკავშირებელ გზაზე, მდ. ჭვარტლის ხეზე,</p> <p>(ტერიტორიის ადგილზე დაზუსტებით) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა</p>				

- სოფ.



<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ვერხვისმინდორში, მდ. არეშე, ძველი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე (ტერიტორიის ადგილზე დაზუსტებით) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა</p> <p>- "სოფ. არეშეერანში, მდ. აფენზე, თამაზი ბაქრაძის საცხოვრობო.</p> <p>არეშეერანში, მდ. აფენზე, თამაზი ბაქრაძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე</p> <p>(ტერიტორიის ადგილზე დაზუსტებით) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა რეგულირებადი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტერიტორიის ადგილზე დაზუსტებით) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა "</p> <p>- სოფ. ფოდაანში, ვენახებთან მისასვლელ გზაზე, მდ. შვეწყალაზე.</p> <p>(ტერიტორიის ადგილზე დაზუსტებით) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის მოწყობა გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2020 წლის განმავლობაში</p> <p>არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება</p> <p>შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც.</p> <p>ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის</p> <p>მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი</p> <p>გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p>მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;</p> <p>ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება;</p> <p>ტურიზმის ხელშეწყობა;</p> <p>მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p>

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 02 01		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			84,2	384,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 67 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზირებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. ყოველდღიურად წყლის სათავე ნაგებობების შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა, შედუღება, ურდულების შეცვლა, ჭაბურღილების მოვლა პატრონობა, ჭების მოწესრიგება, გასუფთავება და სხვა .			
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამამიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.			
	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში, სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;			
	მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახისთვის შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;			
	მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში	
	02 02 02		2020 წელი	2020-2023წწ
				913.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			



<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2020 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. სვიდებში ჭაბურღილისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა - ბენეფიციარი 51 ოჯახი;</li> <li>- სოფ. ფიჩხიბოგორში ჭაბურღილისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა - ბენეფიციარი 78 ოჯახი;</li> <li>- სოფ. ცოდნისკარში ჭაბურღილისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა - ბენეფიციარი 98 ოჯახი;</li> <li>- სოფ. წინიგორში (კიროვის უბანში) სასმელი წყლის მაგისტრალის სათავე ნაგებობისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა - ბენეფიციარი 108 ოჯახი;</li> </ul> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 03 01		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			85,9	395,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლაგოდეხში და 15 თემში შემავალ 67 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაახლოებით 90%. გარე განათების სისტემა მოიცავს 6000ზე მეტ განათების და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 6000ზე მეტ სანათ წერტილს, 340503 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</li> </ul>			
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად.</p> <p>მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა - რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		261.1
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	<p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი (ნაწილობრივ ფუნქციონირებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 67 სოფელში სადაც განთავსებულია 4336 სანათი . ქვეპროგრამის ფარგლებში მოსაწყობია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენილ უბნებზე გარე განათების ქსელის მოწყობა.</p> <p>გარე განათების ქსელის მოწყობის პროგრამა შედგება 6 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. აფენიდან სოფ. ონანაურამდე მიმართულებით (400 გრძ. მ) გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა.</li> <li>- სოფ. ჭაბუკიანიდან სოფ. ონანაურამდე (მეორე გადასასვლელი) (400 გრძ. მ) გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა;</li> <li>- სოფ. აბანაურიდან სოფ. ონანაურამდე (სასფლაოს გავლით) გზაზე (650 გრძ. მ) გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა</li> <li>- სოფ. ონანაურიდან სოფ. ჭაბუკიანამდე (400 გრძ. მ) გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა</li> <li>- სოფ. არეშფერანში (კაკლიანი) (650 გრძ. მ) გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა</li> <li>- სოფ. გიორგეთიდან სოფ. კაბლის მიმართულებით (2600 გრძ. მ) სიკარის ბუნინგასამართის მიმდებარედ გზის მარჯვენა მხარეს გარე განათების ბოძებისა და სანათების მოწყობა</li> </ul> <p>გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 4336 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.</p> <p>გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:</p>		



	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ზომების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.</li> </ul>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ღამის საათებში ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 85%;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 09</b>		<b>600.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია</b>		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1019,9 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
03 00	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>1,019.9</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	918.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	101.9
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	-



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			918,0	4825,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან(15 თემი, 67 სოფელი) ნარჩენების მოგროვებას და გატანას, ზამთრის პერიოდში თოვლისგან გზების გაწმენდას, საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე არხების გაჭრა გაწმენდას, ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზის გვერდულების დასუფთავებას, ტერიტორიების ეკალ ბარდისგან გაწმენდას, და ფორსმაჟორულ სიტუაციებში სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას. ნარჩენების გატანის ღონისძიებებს ემსახურება 3 ერთეული მერსედესის ტიპის ნაგავმზიდი , ერთი ერთეული FOTONI ს ტიპის თვითმცლელი, ორი ერთეული თვითმცლელი კამაზი. არხების გაჭრა გაწმენდა და ეკალ ბარდისგან დასუფთავებით სამუშაოებს ემსახურება 3 ელტეული ჯსბ -ს ტიპის ექსკავატორი, ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ლაგოდეხიდან და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლიდან . გარდა კომუნიკაციების,ნარჩენების გატანა ხდება „ზარის“ სისტემის, ანუ ტომრებში შეგროვებული ნარჩენების გატანა FOTONI ს ტიპის თვითმცლელის მეშვეობით, იმ სოფლებიდან სადაც ვერ ხერხდება მერსედესის ტიპის ნაგავმზიდების შესვლა. შეგროვებული ნარჩენები გადის მაწიმის ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელებზე-შ.პ.ს., მყარი ნარჩენების მართვის კომპანია". მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 470 ერთეულს,აქედან 130 ცალი არის რკინის, ხოლო 340 პლასტმასის; პლასტმასის კონტეინერებიდან ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 185 ერთეული , ხოლო 155 მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რკინის 130 ცალი კონტეინერიდან ქალაქის ტერიტორიაზე. რკინის კონტეინერებიდან 60 ქალაქის , ხოლო 70 სოფლების ტერიტორიაზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველწლიურად გადის დაახლოებით 11000ტონა ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 52000მ<sup>2</sup> ზე მეტის დაგვა დასუფთავება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ლაგოდეხის სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, მეზოოვები, მძღოლები, ტექნიკური პერსონალი-მუშები და სხვა ხელფასებს.</p>			
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;			

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	03 02		შემდეგი 1 წელი	
			101,9	401,9
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. „ლაგოდეხის სერვის ცენტრი“			





ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების - 58 სასაფლაო, 126,4 ჰექტარი მოვლა პატრონობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p>
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის( გაზონების) გაცელვითი სამუშაოები.</p>

## მუხლი 15 განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3030,0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	3,030.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,360.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	670.0
04 03	განათლების ღონისძიებები	-

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში
-----------------------------------	------	--	--------------------------



პროგრამის  
განმახორციელებელი  
სამსახური

ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.

პროგრამის აღწერა და  
მიზანი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1644-ბავშვი, აქედან 255 სასკოლო ასაკის ბავშვია. ბაგა-ბაღებში დასაქმებულია 74 აღმზრდელი და 77 აღმრდელის თანაშემწე. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:

ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა





მოსალოდნელი შედეგი	ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 04 02	სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში 670.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტში 31 საბავშვო ბაღია, აქედან რეაბილიტირებულია 13 ბაღი, მიმდინარე რეაბილიტაცია 2 ბაღზე რაც საერთო რაოდენობის 48.39 % შეადგენს. ვინაიდან ყოველ წლიურად იზრდება საბავშვო ბაღებში სტანდარტები საჭიროა კიდევ 16 ბაღს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, 2020 წლისთვის მუნიციპალიტეტის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ კიდევ 6 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მშენებლობას გეგმავს. მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქ.ლაგოდის N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;</li> </ul> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2020 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება ბაღთა გაერთიანების მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია 31-ივე სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია შედეგად მიღებული იქნება თანამედროვე სტანდარტებით რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები სადაც გათვალისწინებული იქნება (სახურავის, სველი წერტილების, გათბობის, ელგაყვანილობის, ოთახების რეაბილიტაციით, სათამაშო მოედნებით და ა.შ) რეაბილიტაცია.		

**მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1176,5 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,176.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	196.5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	110.0
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	20.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	66.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	950.7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	716.7
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	194.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	29.3

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		110,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი		
	სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია:		



პროგრამის აღწერა	ფეხბურთი (224 ბავშვი, გოგო 12, ბიჭი 212); ქართული ჭიდაობა (95 ბავშვი ბიჭები); ძიუდო (40 ბავშვი ბიჭები); ჭადრაკი (15 ბავშვი, გოგო-8, ბიჭი-7); კალათბურთი (74 ბავშვი გოგო-19 ბიჭი 55). კრივი (35 ბავშვი გოგო-3, ბიჭი-32), ფრენბურთი (72 ბავშვი, გოგო-32 ბიჭი-41) ხელბურთი (25 ბავშვი გოგო-15, ბიჭი-20) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 580 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სამსახურის რესურსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შესაძლებელია გავზარდოთ ბავშვთა რაოდენობა და მეტი ბავშვი იყოს დაკავებული სპორტული ცხოვრებით. ცენტრის ბავშვები იღებენ წლის მანძილზე მონაწილეობას ადგილობრივ და რეგიონულ შეჯიბრებებში.
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; გაზრდილი დაინტერესება და ბავშვების რაოდენობა, კმაყოფილი მოსახლეობა. ცანტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეები.

პროგრამის დასახელება	კოდი	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		20.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება ხდება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო აქტიურობის, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრში“ მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სამოქალაქო აქტიურობა, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაცია. სპორტსმენთა და მწვრთნელთა გაზრდილი მოტივაცია. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულ მოქალაქეთა გაზრდილი რაოდენობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		66,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უამრავი მინი სტადიონია აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია რას საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას (საფარის და ღობის შეცვლას) ასევე რიგ თემებში საერთოდ არ გააჩნიად სტადიონები და საჭიროებს ახლის მოწყობას. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 1 პროექტის განხორციელება. მათ შორის:</p> <p>- ქ. ლაგოდეხში ზაქათლის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია;</p> <p>გარდა აღნიშნული პროექტისა, 2020 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა სტადიონების რეაბილიტაცია</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტადიონების კაპიტალური შეკეთება შედეგად მიღებული იქნება ჯანსაღი ცხოვრებისთვის მოტივირებული ახალგაზდობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01		716,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, ლიტერატურულ-შემოქმედებით საღამოებს; როგორცაა: სახალხო დღესასწაული ჰერეთობა, სხვადასხვა სპექტაკლები, ფერების, ნაყინის, წიგნის, მულტიმედიური, პასკის და ა.შ ფესტივალები, სოფლის დღესასწაულები, საბავშვო, სახალხო და თოჯინების თეატრი.</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას. ქვეპროგრამაში გამოყოფილი ხარჯები ხმარდება ასევე ა(ა)ი.პ ადმინისტრაციის ხარჯებს, ხელფასებსა და სხვა ხარჯებს.</p>		



მიზანი და მოსალოდნელი შედეგები	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, ხელის შეწყობა.
--------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		194,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება
--	---

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სამუსიკო სკოლა( ქ. ლაგოდეხის, სოფ. აფენის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის) და 1 სამხატვრო (ქ. ლაგოდეხის) სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო და ვიოლინოს მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში 7 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 229 ბავშვი აქედან 187 გოგო და 42 ბიჭი . სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები)38 თანამშრომელს აქედან 38 ქალი. დაფინანსება 115.9 ათასი ლარი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, გობელენს, ხელოვნებათმცოდნეობას. სამხატვრო სკოლაში 5 წლიანი სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 47 ბავშვი აქედან 36 გოგო და 11 ბიჭი. სკოლაში სულ დასაქმებულია 4 პედაგოგი- 4 ქალი. სკოლის დაფინანსება 12,6 ათასი ლარი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) 65.5 ათასი ლარი. 17 ადამიანი აქედან 13 ქალი და 4 მამაკაცი.</p>
---------------------	---

